N 24-10-1235
03.07.2024

1235-შ-24-10-3-202407031300

„ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესის" დამტკიცების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღების მიზნით გამართული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი		
კომენტარის წარმდგენი სუბიექტი	**კომენტარი**	**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე**
სს „ენერგო პრო ჯორჯია" წერილის №20016836, თარიღი - 14.06.2024 (კომისიაში რეგისტრაციის №შ-24-6/2647, თარიღი - 14.06.2024)	1. „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად: ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე განთავსებული უნდა იყოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მიღებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, ეს პლატფორმა მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მისაღებად განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით. წინამდებარე წესში მშენებლობის ნებართვის აღების საშუალებები საერთოდ არ არის მოხსენიებული, შესაბამისად ამ ნაწილში არ პასუხობს კანონის მოთხოვნას.	1. კომისია იზიარებს სს „ენერგო პრო ჯორჯიას" მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე განთავსებული უნდა იყოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მიღებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, ეს პლატფორმა მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მისაღებად განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით". თუმცა, აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი უკვე არის მავალდებულებელი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის (შემდგომში - კომისია), რომ მის მიერ შექმნილი პლატფორმა აკმაყოფილებდეს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს და ამ ვალდებულების შესრულებას არ სჭირდება დამატებითი რეგულირება კომისიის კანონქვემდებარე აქტში. რაც შეეხება თავად მშენებლობის ნებართვების/თანხმობების გაცემასთან დაკავშირებულ წესებს, მას, ისევე როგორც ამ ნებართვების/თანხმობების მოპოვების მიზნით განაცხადების გაკეთების წესს კომისია არ ადგენს. აქედან გამომდინარე, პლატფორმაზე ასახული იქნება ის ინფორმაცია და განაცხადის გაკეთების მექანიზმები, რომლებიც სხვა

		უფლებამოსილი ორგანოების მიერ არის განსაზღვრული. შესაბამისად, „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესი" (შემდგომში - პლატფორმის ადმინისტრირების წესი) არ არის წინააღმდეგობაში კანონთან.
	2. „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესის" პროექტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებში განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვადა 1 თვიდან 3 თვემდე უნდა გაიზარდოს.	2. მხედველობაში მიიღო რა ის გარემოებები, რომ ცალკეული ინფრასტრუქტურის ოპერატორებისთვის მათი ძირითადი საოპერაციო ბიზნეს აქტივობების პარალელურად შეიძლება მართლაც გარკვეულ სიძნელეს ქმნიდეს ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის ერთიანი საინფორმაციო პლატფორმისთვის ერთი თვის ვადაში მიწოდება, ასევე, კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი გარანტია, რომლის თანახმადაც, ინფრასტრუქტურის ოპერატორს ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაშიც გააჩნია, როდესაც ის არ არის პლატფორმაზე ხელმისაწვდომი, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია კომენტარის გათვალისწინება და პლატფორმის ადმინისტრირების წესის მე-მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადა გაზარდა ეთიდან 3 თვემდე.
	3. „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესის" პროექტის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის სიდიდის და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, კომპანია ინფორმაციის მიწოდებას შეძლებს მხოლოდ იმ ფორმატში, რაც უკვე არსებობს კომპანიაში, მაგ. KMZ ფორმატში.	3. კომისია შესაძლებლად მიიჩნევს, რომ გაზიარებულ იქნას აღნიშნული კომენტარი და შესაძლებელი იყოს ინფორმაციის KMZ ფორმატში მოწოდება, რაც გათვალისწინებული იქნებ კომისიის მიერ პლატფორმის ოპერირებისას.
	4. „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესის" პროექტის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ" პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება არც კანონით არის გათვალისწინებული და არც კომპანიას გააჩნია ასეთი ინფორმაცია.	4. პლატფორმის ადმინისტრირების წესის პროექტის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, ინფრასტრუქტურის ოპერატორს პლატფორმისთვის უნდა მიეწოდებინა ფიზიკური ინფრასტრუქტურის ფიზიკური მახასიათებლებს შესახებ ინფორმაცია. კომისიამ განმარტა, რომ „ფიზიკურ მახასიათებლებში" მოიაზრებოდა

		მხოლოდ ფიზიკური ინფრასტრუქტურის ზომები/სივრცითი პარამეტრები, მაგრამ ვინაიდან ეს არ ჩანდა ნათლად არსებული ფორმულირებიდან, კომისიამ ნაწილობრივ გაითვალისწინა კომენტარის ავტორის პოზიცია და ცვლილება შევიდა პროექტის შესაბამის პუნქტებში, კერძოდ, უფრო დაკონკრეტდა მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ფორმულირება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით “გ) ფიზიკური ინფრასტრუქტურის სივრცითი პარამეტრების შესახებ“. ასევე ცვლილება შევიდა პროექტის მე-6 მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: *„1. დადგენილების ამოქმედების დროისთვის ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, მის ხელთ არსებული სივრცითი პარამეტრების) პლატფორმისთვის პირველადად მიწოდება უნდა მოხდეს პლატფორმის ამოქმედებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.“*
	5. ეს ვალდებულება (ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განთავსების შესაძლებლობის და ტექნიკური ინსტრუქციების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის პლატფორმისთვის მიწოდების ვალდებულება - პროექტის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „დ” ქვეპუნტი) კანონით არ არის განსაზღვრული. ასეთ ინფორმაციის შეფასების საშუალება არ გაგვაჩნია, ვერ შევაფასებთ, ეს არაა ჩვენი ბიზნესი. ამ ვალდებულებას ვერ დავეთანხმებით. ცალსახად ეს შეფასება უნდა მოახდინოს დაინტერესებულმა მხარემ, რადგან მხოლოდ მან იცის, მისი ბიზნესის საწარმოებლად რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ელექტროგადამცემი საჰაერო ქსელი. შესაბამისად, დაინტერესებულმა მხარემ უნდა მომართოს ინფრასტრუქტურის მფლობელს	5. კომისიამ გაითვალისწინა კომენტარის ავტორის პოზიცია და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: *„დ)ფიზიკურ ინფრასტრუქტურის გაზიარების დამაბრკოლებელი გარემოებების (რომელიც ინფრასტრუქტურის ოპერატორისთვის წინასწარ არის ცნობილი) და ტექნიკური ინსტრუქციების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ“.*

	მისი სურვილის შესახებ (რაშიც უნდა გადმოსცეს დეტალური ინფორმაცია თუ რა პარამეტრების და ა.შ. ინფრასტრუქტურის განთავსებას აპირებს), ხოლო ენერგო-პრო განიხილავს მის მომართვას და გასცემს დასაბუთებულ პასუხს, დაშვების ან ვერ დაშვების შესახებ.	
	6. ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესის განხილვა უნდა მოხდეს ამ წესში გათვალისწინებული პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქციასთან ერთად.	6. პლატფორმის ადმინისტრირების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქცია არის „პლატფორმით სარგებლობის, ფუნქციების, მათ შორის ინფორმაციის მიწოდების, განთავსების და მასთან წვდომის დეტალური წესები, რომელიც მიიღება კომისიის მიერ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით; თანახმად.“ აღნიშნული ინსტრუქცია უნდა იყოს ერთგვარი სახელმძღვანელო პლაფორმაზე, კანონით და პლატფორმის ადმინისტრირების წესებით განსაზღვრული, ინფორმაციის განთავსებისთვის. ინსტრუქცია არ დაადგენს ახალი ტიპის ვალდებულებებს და იგი მხოლოდ შესაბამისი პლატფორმის (ვებგვერდის) მოხმარების ინსტრუქცია იქნება, შესაბამისად კომისიას მიაჩნია, რომ არ არსებობს პლატფორმის ადმინისტრირების წესის ინსტრუქციის გარეშე განხილვის დამაბრკოლებელი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, აქედან გამომდინარე, კომისიამ არ გაიზიარა აღნიშნული კომენტარი. ამასთან, „პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქცია“ მისი პროექტის შექმნისთანავე მიეწოდებათ დაინტერესებულ პირებს (მათ შორის ინფრასტრუქტურის ოპერატორებს, როგორსაც წარმოადგენს კომენტარის ავტორი) და მათთან ერთად შესაძლებელი იქნება დამატებითი მსჯელობა უშუალოდ ამ ინსტრუქციასთან დაკავშირებით.
	7. პროექტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის პირველადად წარმოდგენის ვადის ათვლა უნდა მოხდეს პლატფორმის და ინსტრუქციის ამოქმედების ვადიდან და არა ამ წესების ამოქმედებიდან.	7. კომისიამ გაიზიარა აღნიშნული კომენტარი, რადგან ინფორმაციის მოწოდება და მერე მისი განთავსება ისედაც ერთიან საინფორმაციო პლატფორმასთან არის დაკავშირებული, ამიტომ მე-6 მუხლის (პროექტის მე-5 მუხლი) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა

		შემდეგი რედაქციით: *„დადგენილების ამოქმედების დროისთვის ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, მის ხელთ არსებული სივრცითი პარამეტრების) პლატფორმისთვის პირველადად მიწოდება უნდა მოხდეს პლატფორმის ამოქმედებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.“*
სს „სილქნეტი“ წერილის №3505/01-8, თარიღი - 17.06.2024 (კომისიაში რეგისტრაციის შ- 24-6/2667, თარიღი - 17.06.2024	1. თავდაპირველად გამოქვეყნებულ „დადგენილების პროექტზე“ თანდართული განმარტებითი ბარათის შესაბამისად, პლატფორმის ადმინისტრირების წესები სტრუქტურულად უნდა შემდგარიყო ძირითადი ნაწილისა და ოთხი (4) დანართისგან. ძირითად ნაწილს უნდა მოეცვა პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსებისა და მასთან წვდომის ჩარჩო დებულება; ხოლო, დანართებში აღწერილი უნდა ყოფილიყო პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდების წესი, ვადები, სტრუქტურა და ფორმატი, ასევე პლატფორმაზე რეგისტრაციისთვის საჭირო ინფორმაციის ჩამონათვალი. „დადგენილების პროექტის“ საბოლოო ვერსიას არ ახლავს ზემოთ მოცემული დანართები (არც განახლებული განმარტებითი ბარათი შეიცავს მათზე მითითებას); შესაბამისად, გთხოვთ, განგვიმარტოთ მოხდება თუ არა ზემოთ მითითებული დანართების შემუშავება და რა ფორმით.	1. კომენტარის ავტორის მიერ მითითებული გარემოება წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას/უზუსტობას. დოკუმენტს არ გააჩნია დანართები. აღნიშნული უსწორობა გასწორდა კომისიის მიერ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესშივე და რედაქტირებული განმარტებითი ბარათი განთავსდა კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) საჯარო კონსულტაციების ერთიან საინფორმაციო სივრცეში, შესაბამისი ნორმატიული აქტის თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად.
	2. „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) თანახმად მე-14 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე განთავსებული უნდა იყოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მიღებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, ეს პლატფორმა მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მისაღებად განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.“ წარმოდგენილი „ადმინისტრირების წესის	2. აღნიშნული კომენტარი სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ პირველი კომენტარის ანალოგიურია, შესაბამისად, კომისიის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ პირველი კომენტარის პასუხში.

	პროექტი“ არ ითვალისწინებს ზემოხსენებული საკანონმდებლო ნორმის ფარგლებში, რა ფორმით უნდა განთავსდეს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მიღებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია, ასევე ავტორიზებულ პირებს როგორი ფორმით ექნებათ შესაძლებლობა, განახორციელონ პლატფორმის საშუალებით მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მისაღებად განაცხადის წარდგენა. გთხოვთ „კანონის“ შესაბამისად მოაწესრიგოთ მითითებული საკითხი.	
შპს „მაგთიკომი“ წერილის №ED-24/06/17-020, თარიღი - 17.06.2024 (კომისიაში რეგისტრაციის შ-24-6/2666, თარიღი - 17.06.2024)	1. პროექტის თანახმად, ინფრასტრუქტურის ოპერატორი ვალდებულია განათავსოს ინფორმაცია მისი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე, რაც არ არის „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონთან (შემდგომში - კანონი) შესაბამისობაში. კანონის 7.1 პუნქტის თანახმად, ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის მეშვეობით ინფრასტრუქტურის ოპერატორისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ვრცელდება საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ პირებზე. კანონის არც ერთი ნორმა პირდაპირ არ ავალდებულებს ინფრასტრუქტურის ოპერატორებს განათავსონ ინფორმაცია მათ სარგებლობაში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, შესაბამისად ინფრასტრუქტურის ოპერატორების მხრიდან ასეთი ინფორმაციის განთავსება არის ნებაყოფლობითი. ამ მოსაზრებას ამყარებს, კანონის 5.4 მუხლი, რომლის თანახმად, ინფრასტრუქტურის ოპერატორი უფლებამოსილია არ გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია, თუ ასეთი ინფორმაცია უკვე განთავსებულია საინფორმაციო პლატფორმაზე. თუ კანონი, როგორც ეს პროექტშია წარმოდგენილი ითვალისწინებს პირდაპირ ვალდებულებას ყველა ინფრასტრუქტურის ოპერატორმა განათავსოს მის სარგებლობაში არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურა, მაშინ კანონის ეს ნორმა აზრს მოკლებულია. კანონის მე-14 მუხლში, ასევე განმარტებულია, რომ ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა ეფუძნება ინფორმაციის გაზიარებისა და გაცვლის პრინციპებს და ხელმისაწვდომია ამ კანონით განსაზღვრული პირებისთვის ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე ინფორმაციის	1. კანონის მე-14 მუხლის (რომელიც უშუალოდ ერთიან საინფორმაციო პლატფორმას ეხება) მე-2 პუნქტის თანახმად „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა ეფუძნება ინფორმაციის გაზიარებისა და გაცვლის პრინციპებს და ხელმისაწვდომია *ამ კანონით განსაზღვრული პირებისთვის ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსების ვალდებულების შესრულებისა* და აღნიშნული ინფორმაციის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველსაყოფად.“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი „ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე *ინფორმაციის განთავსებისა* და მისი ადმინისტრირების წესებს *ადგენს კომისია.“* კომისიას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დანაწესები ქმნის სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ კომისიის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მოწესრიგდეს კანონით განსაზღვრული პირების (მათ შორის ინფრასტრუქტურის ოპერატორებს) მიერ შესაბამისი ინფორმაციის პლატფორმისთვის მიწოდების საკითხი. რაც შეეხება კანონის 5.4. მუხლის არსს და მისი არსებობის მიზანს, კომისიის პოზიციით აღნიშნული მუხლის მიზანი არის იმის უზრუნველყოფა, რომ იმ პერიოდშიც კი, როცა ინფრასტრუქტურის ოპერატორს არ აქვს ინფორმაცია განთავსებული პლატფორმაზე (რამდენადაც პლატფორმის ადმინისტრირების წესი ადგენს ვადას,

	განთავსების ვალდებულების შესრულებისა და აღნიშნული ინფორმაციის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველსაყოფად. არც ამ ნორმიდან გამომდინარეობს ინფრასტრუქტურის ოპერატორების ვალდებულება ინფორმაციის განთავსებაზე. კანონის ნორმა მიუთითებს ინფორმაციის განთავსების ვალდებულებაზე, რომელიც 7.1 მუხლის თანახმად ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი პირებზე. თქვენთვის ცნობილია, რომ კანონქვემდებარე აქტი უნდა შეესაბამებოდეს კანონს, რომლის საფუძველზეც ხდება მისი გამოცემა. კანონქვემდებარე აქტით ახალი, კანონისაგან განსხვავებული ვალდებულების დადგენა ეწინააღმდეგება კანონს. შესაბამისად, პროექტის დებულებები, რომელიც ავალდებულებს ინფრასტრუქტურის ოპერატორს მიაწოდოს ინფორმაცია კომისიას საკუთარი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ, შესაბამისობაშია მოსაყვანი კანონთან. *შენიშვნა: შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა კომისიის 21.06.2024წ-ის წეპირი მოსმენის სხდომაზე დააზუსტა აღნიშნული კომენტარი და განმარტა, რომ კომენტარის მთავარი არსი არის ის, რომ კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში (მათ შორის კომერციული საიდუმლოების შემთხვევაში) არ მოხდეს ინფორმაციის პლატფორმაზე განთავსება და თუ ეს ხედვა კომისიის მიერ იქნება გაზიარებული, მაშინ ამ ნაწილში შეუთანხმებლობა არ არსებობს.*	(პირველადი წარმოდგენის შემთხვევაში 6 თვე, ხოლო ცვლილების შემთხვევაში 3 თვე) რომლის განმავლობაშიც ინფრასტრუქტურის ოპერატორმა უნდა მიაწოდოს პლატფორმას ინფორმაცია)) განთავსებული, წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია დაშვების მსურველ პირს. აქედან გამომდინარე, ეს პუნქტი არ გამორიცხავს ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.
	2. პროექტის მე-2 მუხლის ვ) ქვეპუნქტის თანახმად, „მომხმარებელი“ არის ფიზიკური პირი, რომელსაც ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აქვს წვდომა პლატფორმასთან. ამ ნაწილში ვფიქრობთ, რომ ნებისმიერი პირისათვის პლატფორმაზე განთავსებულ ინფორმაციასთან წვდომა გარკვეული რისკების მატარებელია და კომისია, სულ მცირე, უნდა დაფიქრდეს მის მინიმალურ დაზღვევაზე მაინც.	2. კომისიამ გაიზიარა „მაგთიკომის“ პოზიცია და პლატფორმის ადმინისტრირების წესში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც პლატფორმაზე რეგისტრაციის უფლება ექნება მხოლოდ ინფრასტრუქტურის ოპერატორს ან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს, ხოლო პლატფორმაზე განთავსებულ ინფორმაციაზე სრული წვდომა ექნება ავტორიზებულ პირს, ხოლო ინფრასტრუქტურის ოპერატორს კი, მხოლოდ მის მიერ განთავსებულ ინფორმაციაზე. შესაბამისად, დაკორექტირდა პლატფორმის ადმინისტრირების წესის მე-3 მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

		„მუხლი 3. პლატფორმაზე რეგისტრაცია 1. პლატფორმაზე პირის რეგისტრაციისთვის ან რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანისთვის საჭირო მონაცემების კომისიისთვის მიწოდება შესაძლებელია როგორც უშუალოდ პლატფორმის მეშვეობით, ასევე კომისიის მიერ კორესპონდენციის მიღებისთვის დადგენილი მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. 2. *პლატფორმაზე რეგისტრაცია შეუძლია მხოლოდ ინფრასტრუქტურის ოპერატორს ან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირს.* 3. პლატფორმაზე რეგისტრაციისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია მოიცავს პირის დასახელებს/საფირმო სახელწოდებას, საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას, იურიდიული პირის შემთხვევაში, ასევე მისი წარმომადგენელი ფიზიკური პირის სახელს და გვარს, საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაციას და უფლებამოსილებას. 4. *პლატფორმაზე რეგისტრირებულ ინფრასტრუქტურის ოპერატორს აქვს მხოლოდ მის მიერ პლატფორმისთვის მიწოდებული ინფორმაციის ნახვის უფლება, ხოლო რეგისტრირებულ ავტორიზებულ პირს, პლატფორმაზე განთავსებული სრული ინფორმაციის ნახვის უფლება.* 5. პლატფორმაზე რეგისტრაციისათვის დეტალური პროცედურა განისაზღვრება პლატფორმის მომხმარებლის ინსტრუქციით.“
	3. პროექტის მე-5 მუხლის თანახმად - "დადგენილების ამოქმედების დროისთვის ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის პლატფორმისთვის პირველადად მიწოდება უნდა მოხდეს ამ დადგენილების ამოქმედებიდან 3 (სამი) თვის ვადაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა". ვფიქრობთ, რომ სამი თვე არარეალური ვადაა ამ ვალდებულების	3. მხედველობაში მიიღო რა, ის გარემოება, რომ აღნიშნული პუნქტი ეხება ინფორმაციის პირველადად წარმოდგენის ვადას და დღემდე ასეთი ვალდებულება ქართული კანონმდებლობით არ არსებობდა და აქედან გამომდინარე, პირველადად წარმოსადგენი ინფორმაცია ცალკეული ინფრასტრუქტურის ოპერატორისთვის შეიძლება იყოს მოცულობითი, კომისიამ გაითვალისწინა კომენტარის ავტორის პოზიცია და 3

	შესასრულებლად, თუმცა ეს შენიშვნა არარელევანტური გახდება თუ კომისია არ დაარღვევს კანონის მოთხოვნას და გაითვალისწინებს ჩვენს პირველ კომენტარს.	თვიანი ვადა გაიზარდა 6 თვემდე, რის შედეგადაც პლატფორმის ადმინისტრირების წესის მე-6 მუხლის (პროექტის მე-5 მუხლი) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: *„დადგენილების ამოქმედების დროისთვის ინფრასტრუქტურის ოპერატორის მფლობელობაში არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, მის ხელთ არსებული სივრცითი პარამეტრების) პლატფორმისთვის პირველადად მიწოდება უნდა მოხდეს პლატფორმის ამოქმედებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.“* კომენტარის გაზიარებისას კომისიის მიერ ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოებაც, რომ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია გარანტია, რომლის თანახმადაც, ინფრასტრუქტურის ოპერატორს ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაშიც გააჩნია, როდესაც ის არ არის პლატფორმაზე ხელმისაწვდომი.

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია